



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

№ 147

ქალაქი ქუთაისი 26 ოქტომბერი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, სპეციალური /ზონალური/ შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 სექტემბრის №109 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, სპეციალური /ზონალური/ შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 სექტემბრის №109 დადგენილებაში /www.matsne.gov.ge 02.10.2015. 190020020.35.123.016319/ შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილებას დაემატოს 1¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1¹. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური /ზონალური/ შეთანხმების მისაღებად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, დადგენილი წესით, სხვა საბუთებთან ერთად აგზავნის მოთხოვნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომელიც სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის განსაზღვრული წესით იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური /ზონალური/ შეთანხმების შესახებ და უგზავნის მას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას. საბოლოო გადაწყვეტილებას სპეციალური /ზონალური/ შეთანხმების შესახებ იღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.